

## კრებითობა და პირველობა მართლმადიდებელ ეკლესიაში

დიოკლიის მიტროპოლიტი კალისტოსი (უერი)

29 იანვარი, 2019 წ.

რისთვის გვჭირდება ეკლესია? რა არის ეკლესიის განმასხვავებელი და უნიკალური ფუნქცია, რას იქმს ის ისეთს, რასაც მის გარდა ვერავინ და ვერაფერი ვერ შეძლებს ამის გაკეთებას? ისეთი რა ამოცანის შესრულება შეუძლია ეკლესიას, რასაც იმავე წარმატებით ვერ აღასრულებს ახალგაზრდული ჯგუფი, მუსიკალური საზოგადოება, მოხუცებულთა სახლი ან ფოლკლორული წრე? რას იქმს ისეთს მღვდელი, რასაც ვერ შეძლებს სოციალური მუშაკი, ფსიქოთერაპევტი თუ კონსულტანტი ოჯახურ ურთიერთობებთან დაკავშირებით? რა ინარჩუნებს ეკლესიას ერთობით და რა აქცევს მას ერთ მთლიანობად? როგორი ვიზუალური გამოსახულება ან "ხატი" უნდა წარმოვიდგინოთ, როდესაც ეკლესიის შესახებ ვფიქრობთ? ამ კითხვებზე გვპასუხობს დიოკლიის მიტროპოლიტი კალისტოსი (უერი) თავის გამოსვლაში მართლმადიდებლური თეოლოგიური ასოციაციის (IOTA) პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე იასაში (2019 წლის 9-10 იანვარს), რომლის თარგმანსაც ქვემოთ წარმოგიდგენთ.

### გაოცების გრძნობა

ნება მომეცით, ჩემი თხრობა დავიწყო საუბრით ერთ სიზმარზე, რომელიც მრავალი წლის წინ ვიხილე. მესიზმრა, რომ ვესტმინსტრის სკოლა-

ინტერნეტში ვიყავი, სადაც ახალგაზრდობაში ვსწავლობდი. მეგობარმა გამატარა ოთახებში, რომლებსაც ცხადში კარგად ვიცნობდი. შემდეგ, სიზმარში, სხვა ოთახებშიც შევედით, რომლებიც არასდროს მენახა - და ეს ოთახები იყო ფართო, დახვეწილი და ძალიან ნათელი. დასასრულს ჩვენ აღმოვჩნდით პატარა, ბნელ საკურთხეველში ოქროს მოზაიკით, რომლის ქვებიც სანთლების შუქზე ციმციმებდნენ. "რა უცნაურია," - ვუთხარი ჩემს მეგობარს სიზმარში. "წლების განმავლობაში ვცხოვრობდი ამ სახლში და არაფერი ვიცოდი ამ ოთახების არსებობი შესახებ." ჩემმა მეგობარმა მიპასუხა: "მუდამ ასე ხდება." გავიღვიძე, და - ეს სიზმარი იყო.

მართლაც, ყოველთვის ასეა. ჩვენს გარშემო სამყაროში და ჩვენს შინაგან სიღრმეში მუდამ არის ახალი ოთახი, რომელიც ჩვენთვის ჯერ კიდევ არ გაგვიღია. ეს განსაკუთრებით ეხება იმ სულიერი სახლის მრავალ უცნობ ოთახს, რომელშიც ჩვენ ყველანი ვცხოვრობთ - ეკლესიის სახლს. "ჭეშმარიტების საწყისი," - პლატონის თქმით, "არის გაოცების განცდა"<sup>11</sup>.

ჩვენ შევიკრიბეთ ამ კონფერენციაზე, რომელიც ეძღვნება კრებითობასა და პირველობას, სწორედ იმისათვის, რომ განვაახლოთ და გავაფართოვოთ ჩვენი გაოცების განცდა ეკლესიის საიდუმლოს წინაშე, რათა აღმოვაჩინოთ ისეთი ოთახები, რომელთა შესახებაც წარმოდგენაც კი არ გვქონდა. "ევქარისტია - არის უწყვეტი სასწაული," ამბობდა წმინდა იოანე კრონშტადტელი, და იგივე შეიძლება ითქვას ეკლესიის შესახებაც. მოდით, აქ ერთად შეკრებილებმა, ერთად მივეცეთ ამ უწყვეტი სასწაულის ჭვრეტას ახალი ხედვით.

## ეკლესია და ევქარისტია

დასაწყისისთვის, სასარგებლო იქნება კრებითობისა და პირველობის თემა უფრო ფართო კონტექსტში წარმოვადგინოთ. მოდით, დავსვათ რამდენიმე ფუნდამენტური კითხვა. რისთვისაა საჭირო ეკლესია? რა არის ეკლესიის განმასხვავებელი და უნიკალური ფუნქცია, რას იქმს ის ისეთს, რასაც მის გარდა ვერავინ და ვერაფერი ვერ შეძლებს? ისეთი რა ამოცანის შესრულება შეუძლია ეკლესიას, რასაც იმავე წარმატებით ვერ აღასრულებს ახალგაზრდული ჯგუფი, მუსიკალური საზოგადოება, მოხუცებულთა სახლი ან ფოლკლორული წრე? რას იქმს ისეთს მღვდელი, რასაც ვერ შეძლებს სოციალური მუშაკი, ფსიქოთერაპევტი თუ კონსულტანტი ოჯახურ ურთიერთობებთან დაკავშირებით? რა ინარჩუნებს ეკლესიას ერთობით და მას ერთ მთლიანობად აქცევს? როგორი ვიზუალური გამოსახულება ან "ხატი" უნდა წარმოიდგინოთ, როდესაც ეკლესიის შესახებ ვფიქრობთ?

ასეთ კითხვებზე შეგვიძლია გავცეთ პასუხი: ეკლესია საჭიროა იმისთვის, რომ იქადაგოს ჯვარცმული და მკვდრეთით აღმდგარი იესო ქრისტეს შესახებ. ეს პასუხი სწორია, მაგრამ არასრულია. საქმე ისაა, რომ ეკლესია არსებობს არა მარტო იმისთვის, რომ სიტყვიერად იქადაგოს ცხონების შესახებ, არამედ ასევე იმისთვის, რომ საქმით დაამტკიცოს ცხონების იდეა. რა არის საეკლესიო საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვანი ქმედება? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, გავიხსენოთ, რა მოხდა სულთმოფენობის დღეს სულიწმიდის გარდამოსვლისთანავე, როდესაც სამი ათასი ახალმოქცეული მოინათლა. წმინდა ლუკა მახარებელი ამბობს: "და იყვნეს განკრძალულ მოძღვრებასა მას მოციქულთასა და ზიარებასა და

განტეხასა პურისასა და ლოცვასა" (საქმ. 2,42). სწორედ ესაა ეკლესიის განმასხვავებელი და უნიკალური ფუნქცია - ადასრულოს "პურის განტეხა", საიდუმლო უსისხლო მსხვერპლშეწირვა, იდღესასწაულოს სერობა უფლისა "ვიდრემდის მოვიდეს" (1 კორ. 11, 26). ეს მხოლოდ ეკლესიას ძალუმს, სწორედ ეს განასხვავებს მას ნებისმიერი სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციისგან. რა თქმა უნდა, საღმრთო ლიტურგიის შესრულების გარდა, ეკლესია ასრულებს მრავალ სხვა ქმედებასაც. მაგრამ სწორედ ევქარისტია არის ის ცხოველსმყოფელი წყარო, რომლიდანაც ყველა ეს ქმედება გამომდინარეობს.

სწორედ ევქარისტიაა ეკლესიის შემაკავშირებელი, და მის გამო იქცევა იგი - ქრისტესმიერ ერთ სხეულად. ეკლესიის ერთობა იურისდიქციული ძალაუფლების მიერ კი არ არის თავს მოხველი, არამედ მის მიერვე იქმნება, მკვდრეთით აღდგომილი უფლის სისხლისა და ხორცის საიდუმლო ზიარებით.

ამგვარად, აი, რა უნდა იყოს ეკლესიის ჩვენეული "ხატი" - მაგიდა და მასზე - პური და ღვინის თასი, ხოლო მაგიდის გარშემო - ეპისკოპოსი და მღვდლები, წმინდა ერთან - ლაოსთან (ანუ ერისკაცებთან) ერთად, რომლებიც ყველანი ერთად ადასრულებენ ევქარისტის საიდუმლოს. თვითონ ეკლესიის სახელი - „ეკლესია“ - მიუთითებს ევქარისტიაზე, ის ნიშნავს "კრებას", მაგრამ არა რაიმე განყენებულ კრებას, არამედ მლოცველთა შეკრებას, "სადვთო ერი", რომელიც მოწოდებულია და შეკრებილია საღმრთო ლიტურგიისთვის.

შემთხვევითი არ არის, რომ სიტყვები "ქრისტეს სხეული" ერთდროულად ნიშნავს ადამიანთა საზოგადოებასაც და საიდუმლოსაც.

ასევე არ არის საიდუმლო, რომ სიტყვები *communio sanctorum* ნიშნავს როგორც წმინდა ერთან თანაზიარებას, ასევე წმინდა ზიარების მიღებასაც. ეკლესია, უპირველეს ყოვლისა, არის ევქარისტული ორგანიზმი, და ის ხდება ისეთი, როგორც არის კიდევ სინამდვილეში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც აღასრულებს საღმრთო ლიტურგიას. როგორც კარდინალი ანრი დე ლუბაკი ამტკიცებდა, "ეკლესია აღასრულებს ევქარისტias, ხოლო ევქარისტია აღაშენებს ეკლესიას"<sup>[2]</sup>.

ასეთი იყო პასუხი კითხვაზე: "რისთვისაა საჭიროა ეკლესია?", რომელიც XX საუკუნეში გასცეს ისეთმა თეოლოგებმა, როგორებიც არიან დეკანოზი ნიკოლოზ აფანასიევი და მიტროპოლიტი იოანე (ზიზიულასი). არისტოტელ პაპანკოლოუს სიტყვებით რომ ვთქვათ: "თუ გვეკითხებიან, სად არის ღმერთი?" და გვთხოვენ ვუჩვენოთ, სად არის - უნდა მივუთითოთ იესო ქრისტეს პიროვნებაზე. თუ გვეკითხებიან "სად არის ეკლესია?" და გვთხოვენ, ვუჩვენოთ სად არის - ძნელი წარმოსადგენია, კიდევ რაზე უნდა მივუთითოთ, ევქარისტის გარდა<sup>[3]</sup>. მიმაჩნია, რომ ევქარისტული ეკლესიოლოგია, ყველა კრიტიკის მიუხედავად მისი მისამართით, - უდავოდ არის თანამედროვე მართლმადიდებლური აზროვნების ყველაზე შემოქმედებითი გამოვლინება. სწორედ მას უნდა დავეყრდნოთ, რათა მივუახლოვდეთ კრებითობისა და პირველობის თემას. ეს ორივე ცნება უნდა მოიაზრებოდეს არა მხოლოდ ინსტიტუციონალურ და იურიდიულ კატეგორიებში, არამედ, უმთავრესად, საიდუმლო და საკრამენტულ კონტექსტში.

## კრებითობა

კრებითობის თემასთან მიმართებაში მაშინვე ვხედავთ, თუ როგორ უნდა განიხილებოდეს საეკლესიო კრება, როგორც ევქარისტული მოვლენა. საეკლესიო კრებათა უმრავლესობის დღის წესრიგში იდგა ევქარისტული ერთობის აღდგენის საკითხი, რომელიც უწინ დაირღვა; განიხილებოდა საკითხი იმის შესახებ, თუ ვის შეუძლია და ვის არა, შეასრულოს საეკლესიო საიდუმლო, - და მსოფლიო კრებათა უმრავლესობა (ყველა თუ არა) დასრულდა კრების ყველა მონაწილის ლიტურგიაში თანამსახურებით.

რა არის ნებისმიერი კრების მიზანი? ის, რომ ერთიბლივი მსჯელობით<sup>[4]</sup> მივაღწიოთ საერთო აზრს. თუმცა, ეს საერთო აზრი არ არის ცალკეულ მონაწილეთა მოსაზრებების ჯამი. როგორც ერთ სივრცედ გაერთიანებული კრების მონაწილენი, ჩვენ, ცოდვილი ადამიანები, ვხდებით რაღაც უფრო მეტი, ვიდრე ცალკეული პიროვნებები, და სწორედ ეს "რაღაც უფრო მეტი" არის - თვით ქრისტეს მყოფობა, რომელიც მოქმედებს ჩვენში სულიწმინდის მაღლით, როგორც დაგვიპდა უფალი: "რამეთუ სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე შორის მათსა." (მათე 18,20). უფლის სწორედ ეს პოსტულატი ანიჭებს ძალას ნებისმიერი კანონიერი კრების გადაწყვეტილებებს. განა თვალსაჩინო არ არის, რომ ნუგეშინისმცემელი პირველ მოციქულებზე იერუსალიმში გარდამოვიდა, როდესაც ისინი ცალ-ცალკე ლოცულობდნენ, მაგრამ როდესაც "და აღსრულებასა მას დღისა მეერგასისასა, იყვნეს ყოველნი ერთბამად ურთიერთას " (საქმ. 2,1)?

"ორი ან სამი", - ამბობს ქრისტე. რა თქმა უნდა, ის ასევე მოდის ჩვენთან

მაშინაც, როდესაც მარტო ვართ, როდესაც ფხიზელ მდუმარებაში ვიმეცნებთ ჩვენი გულის შინაგან მდგომარეობას და აღმოვაჩენთ იქ უფალს, მის მყოფობას. განმარტოობა, რომელიც არ არის იგივე რაც მარტოობა, - ეს არის ჩვენი ქრისტესმიერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. თუმცა, ამ განმარტოების უდიდესი ფასეულობის მიუხედავად, ერთობისა და სიახლოვის მიუხედავად, - ყოველივე ეს აღინიშნება სიტყვით "კრებითობა" - რაც კიდევ უფრო მეტად ფასეულია.

ეკლესია არ არის თვითკმარი ერთეულების კრებული, არამედ სხეული, რომელიც შედგება თავისი ბუნებით ურთიერთდამოკიდებული მრავალი წევრისგან.

ამიტომაც ეკლესიაში თითოეული ჩვენგანი ამბობს: "მე შენ მჭირდები, რათა საკუთარი თავი ვიპოვო". აი, ამიტომ ამბობენ ეკლესიის წევრები საეკლესიო ცხოვრების ყველა დონეზე და მით უფრო ყველა კრებაზე, - არა "მე"-ს, არამედ - "ჩვენ". "რამეთუ ჯერ-უჩნდა სულსა წმიდასა და ჩუენცა, რადთა არარაჲ უმეტესი ტვრთი დავდვათ თქუენ ზედა, გარნა რომელნი-ესე სასწრაფო არიან", განაცხადეს მოციქულებმა იერუსალიმის სამოციქულო კრებაზე (საქმ. 15, 28). "ჩვენ" - ეს გადამწყვეტი კრებითი სიტყვაა. შეუძლებელია არ გაგაოცოს იმ ფაქტმა, რომ ლოცვაში, რომელიც ქრისტემ დაგვიტოვა (მათე 6, 9-13), - სიტყვა "ჩვენ" ხუთჯერ გვხვდება, სიტყვა "ჩვენი" - სამჯერ და ასევე "ჩვენ" კიდევ ერთხელ; მაგრამ საუფლო ლოცვაში ქრისტიანი არც ერთხელ არ წარმოთქვას სიტყვებს: "ჩემთვის", "ჩემი" ან "მე".

ასეა ევქარისტიაც, - ქმედება რომელიც ქმნის ეკლესიას, - ეპიკლეზისის დროს (სულიწმინდის მოხმობით), ღმერთს მივმართავთ სტყვებით:

„გწირავთ ამ გონივრულ უსისხლო მსახურებას, და შეგთხოვთ და

ვლოცულობთ და გევედრებით, გარდამოავლინე ჩვენ ზედა სულიწმიდა" <sup>[5]</sup>.

«Еще приносим Тебе разумную эту бескровную службу, и просим и молим и умоляем, ниспошли нам Духа Твоего Святого на нас»

ანალოგიურად ამისა, იესოს ლოცვის შესრულებისას, რომელიც ჩემი მუდმივი თანმდევია აი, უკვე სამოც წელზე მეტი, - მე არ ვამბობ, "უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე, ცოდვილი", არამედ "შეგვიწყალენ ჩვენ ცოდვილნი". ცხადია, რომ უფრო ჩვეული ფორმა "შემიწყალე მე" აბსოლუტურად მისაღებია, მაგრამ როდესაც ვამბობთ "ჩვენ", - ამით ხაზს ვუსვამთ, რომ ცხონება, რომელიც არის პიროვნული, არასოდეს აღესრულება იზოლაციაში.

არ უნდა დაგვავიწყდეს ბერძნული არსებითი სახელის "სინოდოს"-ის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა. იგი შედგება სიტყვებისაგან - "სინ" (ერთად) და "ოდოს" (გზა, ან მოგზაურობა). ერთობლივი მოგზაურობის ეს ხატება, კრება - ეს არის ადამიანების ჯგუფი, უმთავრესად, ეპისკოპოსები, - მაგრამ მისი მონაწილენი შეიძლება ასევე იყვნენ მღვდლებიც და ერისკაცებიც, - რომლებიც სასულიერო პირებთან ერთად მომლოცველობენ. ერთობლივი მოგზაურობის ეს სურათი, რომელიც გადასცემს მოძრაობისა და კვლევის შეგრძანებას, - იმას მოგვაგონებს, რომ კრება სტატიკური კი არა, არამედ დინამიურია, რომლის მეშვეობითაც აღესრულება გამოცხადება და არა განმეორება. "თქუა მჯდომარემან მან საყდარსა ზედა: აჰა ესერა ყოველსავე ახალ-ვჰყოფ. და თქუა: დაწერე, ვითარმედ ესე სიტყუანი სარწმუნონი და ჭეშმარიტნი ღმრთისანი არიან.", - გვაუწყებს მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვარი (გამოცხ. 21, 5). ყოველი ჭეშმარიტი კრების დროს, ჩვენ განვიცდით სიახლეს ჩვენი უცვლელი რწმენისა.

კრებითობის შესახებ მსჯელობისას, მოდით ეს ცნება ფართო გაგებით წარმოვიდგინოთ. თუმცა კი ეს სიტყვა, უპირველეს ყოვლისა, საეკლესიო მსოფლიო ან ადგილობრივ ისტორიულ კრებათა საქმეებს უკავშირდება, ის ასევე უნდა იქნას მიჩნეული, როგორც მთელი ეკლესიის თვისება მის ყველა დონეზე - ეპარქიულ, სამრევლო თუ პირად დონეზე. მამა გიორგი ფლოროვსკი საუბრობდა "წმინდამამებისეული გონების" მოხვეჭის აუცილებლობაზე ისევე, როგორც ჩვენც შეგვიძლია ვისაუბროთ "კრებითი გონების" მოხვეჭის შესახებ.

კრებითობა გულისხმობს იმას, რაც განისაზღვრა, როგორც "თანამეგობრობის სულიერება"<sup>[6]</sup>, გახსნილობა სხვისადმი, მისი მოსმენის მზადყოფნა. კრებითობა მონოლოგს კი არა, არამედ დიალოგს ნიშნავს, არა თვითკმარობას, არამედ - ურთიერთ გაცვლას, არა სოლიფსიზმს, არამედ - ერთობას.

ჩვენ, მართლმადიდებლები, შეჩვეულები ვართ, რომ საკუთარ თავზე ვსაუბრობთ, როგორც კრებით ეკლესიაზე, როგორც შვიდი წმიდა კრების ეკლესიაზე. მიუხედავად ამისა, იძულებული ვართ, გულახდილად და თავმდაბლურად ვადიაროთ, რომ თუმცა კი სიტყვიერად კრებითობას ვადასტურებთ, - ძალიან ხშირად მას მას პრაქტიკაში ვუგულვებელყოფთ. მართლაც, მსოფლიო კრებათა შემდეგ, ასევე სხვა კრებებიც შედგა - 879-880 წწ. კრება წმინდა სოფიას ტაძარში, პალამიტის კრებები კონსტანტინოპოლში XIV საუკუნეში (1341, 1347, 1351 წწ.), კრებები მეჩვიდმეტე საუკუნეში, კერძოდ, იასში (1642 წ.) და იერუსალიმში (1672 წ.), რომლებმაც დაამოწმეს საეკლესიო სწავლება ეკლესიისა და საეკლესიო საუდუმლოთა შესახებ, 1872 წლის კონსტანტინოპოლის კრება, რომელმაც დაგმო ეთნოფილექტიზმი<sup>[7]</sup>

(სამწუხაროდ, მისი გადაწყვეტილებები არ აღესრულება თანამედროვე მართლმადიდებლურ დიასპორაში) და ასევე ახლო წარსულ ეპოქაში შემდგარი მოსკოვის კრება 1917-1918 წწ., უკანასკნელი კრება, რომელშიც სამღვდელოება და მრევლი მონაწილეობდნენ ეპისკოპატთან ერთად და რომელიც ტრაგიკულად შეწყდა ბოლშევიკური რევოლუციის გამო, - ეს კრება იყო ისეთივე ან და კიდევ უფრო მეტად რადიკალური და ნოვატორული, ვიდრე ვატიკანის მეორე კრება.

ამ ყველა და სხვა დანარჩენ კრებათა მნიშვნელობის დაკნინების გარეშე, ხომ არ გვიწევს აღიარება იმისა, რომ მართლმადიდებლობისთვის განსაკუთრებით რთულია იმოქმედოს კრებითად? რამდენმა წელმა განვლო წმინდა და დიდი კრების მომზადებისა და გადადებაში, ვიდრე ბოლოს, როგორც იქნა, მაინც შედგა იგი კრებაში 2016 წელს! რომაულ კათოლიკურ ეკლესიაში 1959 წლის 25 იანვარს პაპმა იოანე XXIII-მ, ყველას გასაკვირად, მსოფლიო კრების მოწვევის შესახებ განაცხადა, და, მართლაც, ოთხ წელიწადზე ნაკლებ დროში, 1962 წლის 11 ოქტომბერს, კრება მუშაობას შეუდგა. ვშიშობ, რომ მართლმადიდებელ ეკლესიაში მოვლენები ამის მსგავსად არ ვითარდება. ჯერ კიდევ 1902 წელს, მსოფლიო პატრიარქმა იოაკიმე III-მ ყველა მართლმადიდებელ ეკლესიას დაუგზავნა გზავნილები და მოუწოდა მათ უფრო მჭიდრო კავშირებისა და თანამშრომლობისაკენ. ამ მოწოდებას ეკლესიებმა მხარი დაუჭირეს. კერძოდ, რუსეთის ეკლესია გამოეხმაურა 1903<sup>[8]</sup> წელს, იგი ხაზს უსვამდა "მართლმადიდებელი ეპისკოპოსების საგანგებო კრებების" მნიშვნელობას, რომელიც წარმოადგენს ყველა საპატრიარქოსა და ავტოკეფალურ ეკლესიას, პირისპირ საერთო საზრუნავზე მსჯელობის მიზანს.<sup>[9]</sup>

ამ ჩათესილმა მარცვალმა ბოლოსდაბოლოს მიგვიყვანა 2016 წლის დიდ და წმინდა საეკლესიო კრებამდე, მაგრამ დიდმა დრომ განვლო, ვიდრე ამ თესლმა ნაყოფი გამოიღო. 1923 წელს კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქმა მელეტიუს IV-მ (მეტაქსაკისი) მოიწვია კრება კონსტანტინოპოლში, რომელიც უნდა ქცეულიყო პანმართლმადიდებლურ ყრილობად, მაგრამ ზოგიერთმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ არ მიიღო მასში მონაწილეობა, კრების ზოგიერთმა გადაწყვეტილებამ კი, განსაკუთრებით, ახალი კალენდრის შემოღებამ, - განხეთქილება გამოიწვია. შემდგომად ამისა, 1930 წელს, მართლმადიდებელშორისი კომისია ვატოპედის მონასტერში შეიკრიბა - დელეგატებს შორის არ ყოფილა არც ერთი ქალი! - მისი მიზანი იყო „კრების წინა“ შეკრების მომზადება, რომელიც, თავის მხრივ, წინ უნდა გაძლოლოდა პანმართლმადიდებლურ კრებას. საბოლოო ჯამში, არა მარტო შემოთავაზებულ პანმართლმადიდებლურ კრებას, არამედ წინაკრებასაც არ ეღირსა ჩატარება.

1965 წელს, მსოფლიო პატრიარქმა ათინაგორამ შეკრიბა პანმართლმადიდებლური კონფერენცია როდოსზე, რითაც აღადგინა დიდი და წმინდა კრების იდეა. სწორედ მასზე შეადგინეს პანმართლმადიდებლურ კრებაზე მსჯელობისთვის გამოსატანი შესაძლო თემათა ამომწურავი სია. როდოსსა და შამბეზში ჩატარებული პანმართლმადიდებლური კონფერენციები ასევე ამზადებდნენ მომავალ კრებას. მიუხედავად ამისა, ნახევარ საუკუნეზე მეტი დრო გავიდა, ვიდრე როგორც იქნა, 2016 წელს, არ შედგა პანმართლმადიდებლური კრება კრეტაზე. კრების მუდმივი გადადება გვაგონებს საჰაერო მოგზაურობას 1940-იან და 1950-იან წლებში. ასაფრენ ბილიკზე მოლოდინში, ძრავი ხურდებოდა, პროპელერები ტრიალებდა,

მაგრამ გვეჩვენებოდა, თითქოს თვითმფრინავი ჰაერში აღარასოდეს აიწევდა. ამ თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი 2016 წლის კრეტის კრებაში არის ის, რომ იგი ბოლოსდაბოლოს მაინც შედგა.

სამწუხაროა, რომ კრების გადაწყვეტილებანი, გარკვეულწილად, გულდასაწყვეტი აღმოჩნდა. იგი შორს იყო პანმართლმადიდებლურისაგან. თოთხმეტი ეკლესიიდან, რომელიც შეადგენს მსოფლიო პანმართლმადიდებლურ საზოგადოებას, - კრების მუშაობაში მხოლოდ ათი მონაწილეობდა. ანტიოქიის, საქართველოს, ბულგარეთის და რუსეთის ეკლესიებმა, სხვადასხვა მიზეზების გამო, გადაწყვიტეს მონაწილეობა არ მიეღოთ კრეტის კრებაში. OCA (ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესია) არ იყო მიწვეული. რუსეთის ეკლესიის დაუსწრებლობამ განსაკუთრებული ზიანი მიაყენა ამ კრებას; გარდა ამისა, ეს იყო მოულოდნელი, რადგან მოსკოვის საპატრიარქო ბოლო მომენტამდე ქმედითად და პოზიტიურად მონაწილეობდა სამზადისში.

კრეტის კრების მოწვევამდე, ზოგიერთი ოფიციალური მართლმადიდებელი წარმომადგენელი ვარაუდობდა, რომ ის ვერ გახდებოდა მერვე მსოფლიო კრება. უკან რომ მოვიხედოთ, - არც არავინ მიიჩნევს მას ასეთად. სინამდვილეში, კრეტის კრება გაიმართა ბევრად უფრო განსხვავებულად, ვიდრე შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრება. შესაძლოა, ეს პრინციპი ყოველთვის არ იყო დაცული პრაქტიკაში, მაგრამ მსოფლიო კრებებზე იწვევდნენ ქრისტიანული სამყაროს ყველა მღვდელმთავარს, რადგან საკრამენტული თვალსაზრისით, ყველა მათგანი თანაბარ ხელდასხმას იღებს, და, შესაბამისად, ყველა მათგანს ერთი და იგივე მადლმოსილების ნიჭი ებოძა. გარდა ამისა, საეკლესიო კრებებზე ხმის

მიცემის დროს თითოეული ეპისკოპოსის ხმა ცალკე ფიქსირდებოდა და გადაწყვეტილებებს ხმათა უმრავლესობით იღებდნენ. განსხვავებული აზრის მქონე მღვდელმთავრების რიცხვი, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ გადაწყვეტილებებს, ძალზე მცირე იყო - ნიკეას პირველ კრებაზე ასეთი მხოლოდ ორი ადამიანი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, განსხვავებული უმცირესობა არსებობდა.

კრებაზე კრების ჩატარების წესრიგი განსხვავებული იყო. მისი შთამაგონებელი ვექტორი, იყო არა საკრამენტული და ქარიზმატული, არამედ უფრო ადმინისტრაციული და ბიუროკრატიული. კრებაზე მიწვეულები იყვნენ არა ყველა მღვდელმთავარი, არამედ მხოლოდ 24 თითოეული საპატრიარქოსა და ავტოკეფალური ეკლესიიდან. ყველა თოთხმეტ მართლმადიდებელ ეკლესიას რომ წარეგზავნა ოცდაოთხი ეპისკოპოსი, - კრებაში შეიკრიბებოდა 336; სინამდვილეში კი, 150-ზე მეტი არ ყოფილა (რა თქმა უნდა, ყველა მართლმადიდებელ ეკლესიას არც ჰყავს ოცდაოთხი ეპისკოპოსი, როგორც, მაგალითად, კვიპროსის, ალბანეთის, პოლონეთისა და ჩეხეთისა და სლოვაკეთის ეკლესიებს).

სხვა განსხვავება კრებასა და მსოფლიო კრებას შორის იყო ის, რომ წინასწარ მიღებული შეთანხმების თანახმად, - გადაწყვეტილებებს იღებდნენ არა ხმათა უმრავლესობით, არამედ ერთხმად. მხედველობაში გვაქვს ის, რომ თითოეულ დელეგაციაში ოცდაოთხ ადამიანს შორის შეიძლება ყოფილიყვნენ მონაწილენი, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ ამა თუ იმ საკითხს, მაგრამ თითოეულ დელეგაციას ხმათა უმრავლესობით უნდა მიეღო გადაწყვეტილება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთი განსხვავებული აზრის მქონე ეპისკოპოსი საკმარისი იქნებოდა იმისთვის, რომ მოეხდინა კრების

პარალიზება.

1976 წლის პანმართლმადიდებლური კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, - რომელიც პანმართლმადიდებლურ კრებამდე 40 წლით ადრე გაიმართა! - კრებაზე მსჯელობისთვის შერჩეული იყო ექვსი თემა და კრებაზე წარმოდგენილი მოსამზადებელი დოკუმენტები ყველა თემაზე:

1. მართლმადიდებელი ეკლესიის მისია თანამედროვე სამყაროში. მართლმადიდებელი ეკლესიის წვლილი მშვიდობის, სამართლიანობის, თავისუფლების, ძმობისა და ხალხთა შორის სიყვარულისა და რასობრივი და სხვა დისკრიმინაციის აღმოფხვრაში.

2. მართლმადიდებლური დიასპორა.

3. ავტონომია მართლმადიდებლურ ეკლესიაში და მისი გამოცხადების საშუალება.

4. ქორწინების საიდუმლოება და დაქორწინების დაბრკოლებები.

5. მარხვის მნიშვნელობა და მისი დაცვა დღეს.

6. მართლმადიდებლური ეკლესიის ურთიერთობები დანარჩენ ქრისტიანულ სამყაროსთან.

თავში ერთბაშად ამომიტივტივდა რამდენიმე შენიშვნა. რა თქმა უნდა, ეს ექვსი თემა იყო ძალიან ბევრი იმისათვის, რომ კრებას, რომელიც მხოლოდ ერთ კვირაზე ოდნავ მეტ ხანს გაგრძელდა, განეხილა ისინი საკმარისად სიღრმისეულად. რომის კათოლიკურ ეკლესიაში ტრიდენტის კრება თექვსმეტ წელს გრძელდებოდა, ვატიკანის მეორე კრება - ოთხ წელს, იმ დროს, როდესაც თითოეული სხდომა ცხრა თვის განმავლობაში

მიმდინარეობდა. საკმარისი დროისა არქონისა და განსახილველი თემების სიმრავლის გამო, კრეტის კრებამ ვერ შეძლო სათანადოდ ცხადად ფოკუსირება მსჯელობის საგანზე.

მსოფლიო საეკლესიო კრებების შემთხვევაში, თითოეული მათგანი შეიკრიბა იმისათვის, რომ უმთავრესად ემსჯელა სწავლებასთან დაკავშირებულ რომელიღაც ერთ საკითხზე, რომელიც მწვავე დაპირისპირებას იწვევდა მთელ ქრისტიანულ სამყაროში. კრეტის კრების შემთხვევაში ასეთი მწვავე თემა არ ყოფილა. მაგალითად, ოქსფორდში, სადაც მე ვცხოვრობ, ღვთაებრივი ლიტურგიის დასრულების შემდეგ, არასდროს მინახავს აღშფოთებული მრევლი, რომელიც გარს მეკვრის და გაჰყვირის: "მეუფეო, წუხელ ღამით თვალი ვერ მოხვუჭეთ, ისე ვდარდობთ ავტონომიის გამოცხადების საშუალების გამო! "

ცხადია, ყველა ექვსი თემა თანაბრად მნიშვნელოვანი არ არის. პირველი თემა, "ეკლესიის მისია", ზედმეტად ზოგადია და, შედეგად ამისა, ამ საკითხზე კრების მიერ შემდგომში მიღებული ტექსტი არ შეიცავს რაიმე ამაღელვებელს ან მოულოდნელს. რაც შეეხება მესამე თემას, აშკარაა, რომ თანამედროვე მართლმადიდებლობა საჭიროებს ავტოკეფალიის გამოცხადების საკითხის განხილვას და არა ავტონომიის. თუმცა, ეს საკითხი არ იყო შეტანილი დღის წესრიგში და არც განიხილებოდა. არ მახსენდება, რომ კრეტაზე რაიმე თქმულიყო ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსზე, რომლის ავტოკეფალიასაც აღიარებს მოსკოვის საპატრიარქო, მაგრამ არ აღიარებს კონსტანტინოპოლის საპატრიარქო - თემა, რომელიც უკვე ორმოცდაათ წელზე მეტია ჰაერშია გამოკიდებული.

ასევე არაფერი ქმულა უკრაინის სამწუხარო გაურკვევლობაზე და

უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადების შესაძლებლობაზე. კიდევ ერთხელ ვეკითხები საკუთარ თავს: მართლაც საჭიროა თუ არა, რომ წმინდა და დიდმა კრებამ მიიღოს გადაწყვეტილება მარხვის შესახებ? ცხადია, რომ ეს საკითხი უმჯობესია განიხილებოდეს ადგილზე და პირადად მოძღვრებთან, სამრევლო მღვდელმსახურებთან, ან სულიერ მამებთან ერთად.

მიუხედავად ამისა, ექვსი თემადან ორი თემა ძალიან მნიშვნელოვანია - ე.წ. დიასპორის კანონიკური მდგომარეობა და მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობები დანარჩენ ქრისტიანულ სამყაროსთან. რაც შეეხება, მაგალითად, დიასპორის საკითხს, - მოსამზადებელმა დოკუმენტებმა, უპირველეს ყოვლისა, ცხადყო ერთი ეპისკოპოსის ერთ ოლქში მსახურების კანონიკური ნორმის დარღვევის ფაქტები. ეს ხომ სწორედ ის არის, რაზეც ჩვენ ყველანი ვწუხვართ ბოლო ასი წლის განმავლობაში. სამართლიანად აღნიშნა, რომ საჭიროა შეიქმნას დიასპორის თითოეულ რეგიონში მართლმადიდებელ ეპისკოპოსთა კრება, მაგრამ ეს უკვე გადაწყვეტილი იყო ადრეც, 2009 წელს შემდგარ პანმართლმადიდებლურ კონფერენციაზე. გარდა ამისა, მოსამზადებელი დოკუმენტი და შემდგომ მიღებული რეზოლუცია კრეტაზე, არაფერ ახალს არ შეიცავდა.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ კრეტაზე განხილული ექვსი წინასწარი "პოზიციური დოკუმენტი", თავისი სულისკვეთებით, საკმაოდ კონსერვატიული იყო და კრების მიერ გაკეთებულმა შესწორებებმა (რომელიც ბევრი სულაც არ ყოფილა) - მხოლოდ ხაზი გაუსვა დოკუმენტების კონსერვატულ ხასიათს.

**მიუხედავად იმისა, რომ კრეტის დღის წესრიგი გადატვირთული იყო,**

კრებას არაფერი უთქვამს თანამედროვე მართლმადიდებელ ეკლესიაში არსებული მწვავე პრობლემების შესახებ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ ყოფილა მსჯელობა ავტოკეფალიის საკითხზე. არ განიხილებოდა საკითხი კალენდრის შესახებ. შესაძლოა, ეს ბრძნული გადაწყვეტილება იყო, რადგან ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეკლესიები, რომლებიც კალენდრის ძველ სტილს მისდევენ, მსგავსად რუსეთის ეკლესიისა, - ახალ სტილზე გადმოსულიყვნენ. ნებისმიერი ასეთი მცდელობა განხეთქილებას გამოიწვევდა.

კრეტის კრებაზე ასევე არაფერი თქმულა მართლმადიდებლობაზე მოქცეულების მიღების წესებზე. თანამედროვე მართლმადიდებლურ პრაქტიკაში არსებობს კურიოზული წინააღმდეგობები<sup>[10]</sup>. XVIII საუკუნიდან, რუსეთის ეკლესია, როგორც წესი, რომელ კათოლიკებს იღებდა სარწმუნოების აღიარებით და ცოდვათა მიტევების გზით, არ ითხოვდა მათგან არც მირონცხებას და, მით უმეტეს, არც გადანათვლას. მეორე მხრივ, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია საზღვარგარეთ, რომელიც 2007 წლიდან იმყოფება სრულ ევქარისტიულ ერთობაში მოსკოვის საპატრიარქოსთან, ხშირად აღასრულებს ხელმეორე ნათლობას ახალ მოქცეულებზე და მათ შორის კათოლიკებზე. იგივე პრაქტიკა არსებობს სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებში, და უპირველეს ყოვლისა, ათონის მთაზე. როდესაც საჭიროა ნათლისღების აღსრულება, ის არ აღესრულება "პირობითი ფორმულით"<sup>[11]</sup>.

როგორც ჩანს, აქ საუბარია რაიმე გარკვეული პრაქტიკის გამოყენების საკითხზე კი არა, არამედ სარწმუნოებრივ სწავლებაზე. საკითხი ამგვარად დგას: აღესრულება თუ არა არამართლმადიდებლურ ეკლესიებში

მადლმოსილი საეკლესიო საიდუმლოები? მართლმადიდებლობაში არიან ადამიანები, როგორც ბერძნულ, ისე სლავურ ეკლესიებში, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მართლმადიდებლური ეკლესიის ხილული საზღვრების მიღმა არ არსებობს არც ღვთის მადლი და არც საეკლესიო საიდუმოებების მადლმოსილება. ისინი აპელირებენ 1755 წლის აღმოსავლეთის პატრიარქების (ანტიოქიის გარდა) გადაწყვეტილებაზე<sup>[12]</sup>. თუმცა, მართლმადიდებლობაში ეს მოსაზრება შორს დგას საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისთან. არსებობენ სხვა ადამიანებიც, როგორცაა, მაგალითად, მამა გიორგი ფლოროვსკი, რომელიც თავის სტატიაში "ეკლესიის საზღვრები" (პირველად გამოქვეყნდა 1933 წელს<sup>[13]</sup>), ამტკიცებს, რომ ეკლესიის ქარიზმატული და კანონიკური საზღვრები ერთმანეთს ზედმიწევნით ზუსტად არ ემთხვევა.

**პირადად, მე ვერ წარმომიდგენია, რომ რომის პაპი ერისკაცადაც კი არა, არამედ უნათლავ წარმართად უნდა მივიჩნიოთ.**

ცხადია, ბევრი რამ დამოკიდებულია სიტყვა "ნამდვილის" მნიშვნელობაზე. პირადად მე ვიმედოვნებდი, რომ კრეტის კრება ფორმალურად გააუქმებდა 1755 წლის გადაწყვეტილებას და დაადგენდა, რომ ყველა ახალმოქცეული, რომელზეც სხვა დენომინაციაში აღსრულდა წყლით ნათლობა ყოვლადწმინდა სამების სახელით, - ეკლესიაში უნდა იყოს მიღებული არა ხელმეორე ნათლობით და არა სარწმუნოების აღიარებითა და ცოდვების მიტევებით, არამედ - მირონცხებით. ამგვარად განმტკიცებოდა საერთო პრაქტიკა მთელ მართლმადიდებლურ სამყაროში. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საკითხთან დაკავშირებით, კრების მონაწილენი იყვნენ, დაუჯდომლის სიტყვებით რომ ვთქვათ, "ვითარცა

თევზნი უტყვნი". საკითხი არ განხილულა.

სხვა საკითხები, რომელთა იგნორირებაც მოხდა კრეტაზე, მიუხედავად მათი მწვავე განხილვებისა არამართლმადიდებლურ დასავლეთში, - ეს არის ეკლესიაში ქალთა მსახურების თემა და ე.წ. "ერთსქესიანთა ქორწინება."

როგორ უნდა შევაფასოთ კრეტის კრება? ასეთი ხანგრძლივი მომზადების შემდეგ, რას მივალწიეთ? შესაძლოა, უკეთესი იქნება, რომ კრეტის კრება განვიხილოთ, არა როგორც ერთი შემთხვევა და ცალკეული მოვლენა, არამედ როგორც პროცესის დასაწყისი, პირველი ასეთი შეხვედრების თანმიმდევრობაში. რუმინეთის პატრიარქმა დანიელმა კრეტის კრებაზე წინადადება წამოაყენა, რომ წმინდა და დიდი კრება იქნას მოწვეული ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ და შემდეგი შეკრება რუმინეთის ეკლესიის სახელით თავისთან მიიწვია. ეს უკანასკნელი შემოთავაზება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან დიდი და წმინდა კრებების ჩატარება - საკმაოდ ძვირადღირებული ღონისძიებაა და ჩვენ არ გვყავს ქრისტიანი იმპერატორი, ეს ხარჯები რომ დაფაროს. გასაკვირია, რომ კრეტის კრებამ ისე დაასრულა მუშაობა, რომ მას არ მიუღია გადაწყვეტილება, თუ სად და როდის გაიმართება შემდეგი დიდი და წმინდა კრება და არ შექმნილა მისი მოსამზადებელი კომისია. ჩვენ უნდა დავიწყოთ ახალი კრების მოწვევისთვის მზადება, რომელიც როგორც ვიმედოვნებთ, სრულად იქნება პანმართლმადიდებელი.

ჩვენ ვიხილეთ, რომ კრეტის კრებისათვის მზადება 114 წელი გაგრძელდა - 1902-დან 2016 წლამდე. ნუთუ კიდევ 114 წელი უნდა ველოდოთ, რომ ველირსოთ მის გაგრძელებას?

საბედნიეროდ, კრეტის კრებაზე არ იყო, ან თითქმის არ იყო

პოლიტიკური ჩარევა. მომავლისთვის, მოდით, მოვამზადოთ ტრანსპარანტი: "პოლიტიკოსებისთვის შესვლა აკრძალულია!" საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბიზანტიის ეპოქაში ქრისტიანი იმპერატორები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მსოფლიო კრებებში. მაგრამ პუტინი - იმპერატორი კონსტანტინე არ არის და პოროშენკო - არ არის იმპერატორი იუსტინიანე.

ყველაზე მნიშვნელოვანი კრეტის კრებაზე, როგორც აღვნიშნეთ, იყო თავად ფაქტი იმისა, რომ იგი შედგა. ვიმედოვნებთ, რომ მომდევნო კრებები შეძლებენ იმ საკითხების განხილვას, რომლებზეც არ მოხდა მსჯელობა კრეტაზე. ის, რაც შეძლო კრეტის კრებამ - ესაა მართლმადიდებლობის სინოდის სულისკვეთების, მისი კრებითი ბუნების განმტკიცება. და ამით ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვუმაღლოდეთ მისი უწმინდესობის, მსოფლიო პატრიარქ ბართლომეს ხელმძღვანელობასა და სიმტკიცეს.

## პირველობა

საკითხზე პირველობის შესახებ, რომელსაც აქვს ცენტრალური მნიშვნელობა ამჟამინდელ მართლმადიდებლურ-კათოლიკურ დიალოგში, უპირველეს ყოვლისა, რაც უნდა ითქვას, - ესაა, რომ კრებითობა და პირველობა ერთმანეთს ავსებს და ერთმანეთისგან დამოკიდებულია. მათ შორის, არის, როგორც მართებულად ამტკიცებდა მიტროპოლიტი იოანე (ზიზიულასი), "უწყვეტი კავშირი"<sup>[14]</sup>. "მართლმადიდებლურ ეკლესიოლოგიაში," - წერს იგი, - "როგორც პირველობა არ არის კრების

გარეშე, ისე კრება არ შეიძლება იყოს პირველობის გარეშე"<sup>[15]</sup>. ეს თვით ეკლესიის ევქარისტული ბუნებიდან გამომდინარეობს. ევქარისტის ნებისმიერ თანამსახურებაში მუდამ არის ვიღაც ლიტურგიკული წინამძღოლის სახით, - და მსგავსად ამისა, ნებისმიერ საეკლესიო კრებაზე, - ხოლო კრება, როგორც ჩვენ ვიხილეთ, ესაა ევქარისტული მოვლენა - არის ვიღაც, ვინც მოქმედებს, როგორც უპირატესი, - წინამძღოლი და პირველიერარქი.

პირველიერარქსა და მის თანამომხმე ეპისკოპოსებს შორის, როგორც ეს მომდინარეობს მოციქულთა 34-ე კანონიდან <sup>[16]</sup>, - არის ურთიერთდამოკიდებულება. ეპისკოპოსებს არ შეუძლიათ მოქმედება პირველიერარქის გარეშე, მაგრამ არც მას შეუძლია მოქმედება ეპისკოპოსების გარეშე. მათ შორის არის ის, რაც შეიძლება იყოს ფორმულირებული, როგორც ურთიერთპასუხისმგებლობა და დიფერენცირებული ურთიერთდამოკიდებულება.

რა არის წინამძღოლის ძირითადი ფუნქცია? ერთობლივი დისკუსიის ხელშეწყობა და ეკლესიის ერთობის დაცვა. წინამძღოლი, უპირველეს ყოვლისა, ხიდებს აშენებს. მამა იოანე მაიენდორფის სიტყვებით რომ ვთქვათ, "პირველიერარქის ძირითადი ამოცანაა - ყველა მართლმადიდებელ ეკლესიას შორის მუდმივი თათბირის პროცესის უზრუნველყოფა და საეკლესიო წესრიგის დაცვა (განსაკუთრებით, მართლმადიდებელი ერის ერთობის დაცვა ადგილობრივ და რეგიონურ დონეზე)"<sup>[17]</sup>. ამგვარად, IX საუკუნის ისაგოგა კონსტანტინოპოლის პატრიარქს აღწერს, როგორც "ქრისტეს ცოცხალ და განცხოველებულ ხატებას" და ამბობს, რომ მისი ამოცანაა, "ყველა მწვალებლის დაბრუნება მართლმადიდებლობასა და

ეკლესიის ერთობის წიაღში", ხოლო ტრულის კრების 102-ე კანონი აცხადებს, რომ მისი მოწოდებაა - "დაკარგულ ცხოვართა დაბრუნება"<sup>[18]</sup>.

### ტრულის კრების კანონი 102-ე

ვინც ღმერთისგან მიიღო შეკვრისა და გახსნის ხელმწიფება, უნდა განიხილავდეს ცოდვის ხარისხსა და ცოდვის ჩამდენის მოსაქცევად მზადყოფნას და ამის გათვალისწინებით შეუმზადებდეს მათ სნეულებისაგან განსაკურნებელ წამალს, რათა ერთ, ან მეორე საკითხში ზომიერების დაუცველობის გამო, სნეულისათვის დახმარება უშედეგო არ აღმოჩნდეს; რადგან არაერთგვაროვანია ცოდვის სენი, არამედ განსხვავებული და მრავალსახოვანი და ბოროტების მრავალ ნერგს აღმოაცენებს, რომელთაგან უკეთურება უხვად დაინთხევა და შემდეგ ვრცელდება, ვიდრე არ მოხდება მკურნალის ძალ-მადლით მისი შეჩერება, ამიტომ, ვისაც მკურნალობის ხელოვნების გამოჩენა მართებს, მან პირველ რიგში უნდა განიხილოს ცოდვის ჩამდენის განწყობა და დაკვირვება მოახდინოს მასზე: სულიერი სიმრთელისაკენ ილტვის იგი, თუ პირიქით, საკუთარი ზნით სნეულებას მიიზიდავს და, ამასთან, როგორ წარმართავს თავის საქციელს; თუკი მკურნალს არ ეწინააღმდეგება და სულიერ წყლულებს დანიშნული წამლებით განიკურნავს, ასეთ შემთხვევაში ღირსებისამებრ მიესაწყაოს მას მოწყალეობა, რამეთუ ღმერთს და სამწყსოს წინამძღოლად ხელთდასხმულსაც მთელი საზრუნავი იქით აქვთ მიმართული, რომ შეცდომილი ცხოვარი მოაბრუნონ და გველის მოწყლული განკურნონ; არც სასოწარკვეთის ციცაბოზე განდევნა ეგების, არც აღვირის მიშვება, განლაღებული ცხოვრებისა და დაუდევრობისათვის, არამედ დაუყოვნებლივ რაიმე სახით,

ან მკაცრი და შემკვრელი, ან უფრო რბილი და მსუბუქი სამკურნალო საშუალებით, საჭიროა სნეულების წინააღმდეგ აღდგომა და წყლულის გასამართლებლად მოღვაწეობა; სინანულის ნაყოფის მიღება და ადამიანის ბრძნულად წარმართვა, რომელიც ზეციური განათლებისათვის არის მოწოდებული. ჩვენ გვმართებს ერთის და მეორის ცოდნაც - პატიოსანი მოშურნეობაც მონანულისა და წესის შესაბამისად მოთხოვნაც; ხოლო, ვინც არად აგდებს სრულყოფილი სინანულის მნიშვნელობას, მათ მიმართ გადმოცემისამებრ უნდა მოვიქცეთ, როგორც საღვთო ბასილი გვასწავლის.

*(I მსოფლ. 12; ანკვირ. 2,5,7; ათანასე დიდის ეპისტოლე რუფინიანეს მიმართ; ბასილი დიდ. 2,3,74,75,84,85; გრიგოლ ნოს. 4,5,7,8).*

პირველობას, როგორც მამა ალექსანდრე შმემანი აღნიშნავს, თანამედროვე მართლმადიდებლობაში აქვს "დიდი რაოდენობით სხვადასხვა ფორმა - რუსეთის პატრიარქის თითქმის აბსოლუტური "მონარქიით" დაწყებული - ათენის მთავარეპისკოპოსის მეტნაკლებად ნომინალური უპირატესობით დამთავრებული"; "ეს მიუთითებს [მართლმადიდებელ ეკლესიაში] უპირატესობის ცნების ზოგადი გაგების არარსებობაზე, ან და მის სტაბილურ კანონიკურ განმარტებაზე"<sup>[19]</sup>. როგორც აღიარებს არქიდიაკონი იოანე ხრისავგისი, "ფაქტობრივად, ჩვენ არ გვაქვს განვითარებული დოქტრინა, ან, უფრო სწორად, - უპირატესობის ცნების მკაფიო აპოლოგია"<sup>[20]</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვის საპატრიარქო ეთანხმება მსოფლიო

საპატრიარქოს, რომ კონსტანტინოპოლს უკავია პირველი ადგილი ტაქსისში, ან მართლმადიდებელ ეკლესიათა კანონიკურ ჩამოანთვალში, - არ არის სრული თანხმობა იმ ფარგლებთან მიმართებაში, რომელიც განისაზღვრება ამ "პირველი ადგილით", და თუ რა პრაქტიკული შედეგები მოჰყვება ამ პირველობას. XIV საუკუნეში დიდმა ლაგოფეტმა თეოდორე მეტოხიტისმა (Θεόδωρος Μετοχίτης) თქვა, რომ ძველ დროში წმინდა ადამიანებმა ყველაფერი ისე საუკეთესოდ ნათლად გამოხატეს, რომ სათქმელი არაფერი დაგვიტოვეს. თუმცა, ეს არანაირად არ ეხება პირველობის საკითხს მართლმადიდებელ ეკლესიაში. ამ საკითხში ბოლო სიტყვა ნათქვამი ჯერ არ არის.

მსოფლიო საპატრიარქოს უპირატესობის საკითხში თანხმობის არარსებობა, სხვა საკითხებთან ერთად, შეიძლება მჟღავნდებოდეს ავტოკეფალიის მინიჭების წინააღმდეგობით (შესაძლოა, უფრო სწორია, რომ ავტოკეფალიის აღიარებაზე ვისაუბროთ, ვიდრე მის მინიჭებაზე). კონსტანტინოპოლი ავტოკეფალიის მინიჭებას მსოფლიო საპატრიარქოს პრეროგატივად მიიჩნევს, მოსკოვის აზრით კი ეს საკითხი დედაეკლესიის პასუხისმგებლობის სფეროა. ეს უთანხმოება გამჟღავნდა 1970 წელს ამერიკის მართლმადიდებელ ეკლესიასთან მიმართებაში. მოსკოვმა, როგორც შეერთებულ შტატებში არსებული რუსული მიტროპოლიის დედაეკლესიამ, - მიანიჭა მას ავტოკეფალია, მაგრამ კონსტანტინოპოლმა უარი განაცხადა მის აღიარებაზე. საბედნიეროდ, ამ შემთხვევაში, არ გაწყვეტილა ევქარისტიული კავშირი და ლიტურგიკული ერთობა. გასაკვირია, რომ თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, ამ დავაში არ იქნა ნაპოვნი არანაირი გადაწყვეტილება.

უფრო სერიოზულია კონფლიქტი, რომელიც წარმოიშვა უკრაინაში

2019 წელს. კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ ავტოკეფალიის ტომოსი მიანიჭა ორ სქიზმატურ დაჯგუფებას<sup>[21]</sup> უკრაინაში - ე.წ. "კიევის საპატრიარქოს", რომელსაც სათავეში უდგას ფილარეტ დენისენკო და ე.წ. "ავტოკეფალურ ეკლესიას", რომელსაც მეთაურობს მიტროპოლიტი მაკარი. ვინაიდან მოსკოვი არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას, იგი ინარჩუნებს თავის იურისდიქციას უკრაინის მართლმადიდებლობის იმ ნაწილზე, რომელსაც სათავეში უდგას მიტროპოლიტი ონოფრე და რომელიც აერთიანებს გაცილებით მეტ სამრევლოს, ვიდრე ერთად აღებული ის ორი სქიზმატური დაჯგუფება.

შედეგად ამისა, მოსკოვმა გაწყვიტა ევქარისტიული კავშირი კონსტანტინოპოლთან, თუმცა თავად კონსტანტინოპოლმა არ უპასუხა იმავე ქმედებით და ცდილობს შეინარჩუნოს ლიტურგიკული ერთობის სისრულე რუსეთთან. ზოგიერთმა სხვა მართლმადიდებელმა ეკლესიამ მოითხოვა, რომ ამ პრობლემის მოგვარება მოხდეს პანმართლმადიდებლურ დონეზე, ან კრეტის ახალი კრების მოწვევით, ან და ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის საგანგებო სინაქსის შეკრების გზით.

ორივე პატრიარქისადმი ჩემი პატივისცემის მიუხედავად, მრავალი ჩვენგანი შეშფოთებულია ორივე მხარის ქმედებებით ამ რთულ და სამწუხარო დავაში. თუმცა, მსოფლიო საპატრიარქო საკუთარ თავს უკრაინის დედაეკლესიად მიიჩნევს, - უნდა ვადიაროთ, რომ 330 წელზე მეტ ხანს უკრაინა რუსეთის ეკლესიის განუყოფელი ნაწილი იყო. ეს ისტორიული ფაქტია და, როგორც აღნიშნავს არისტოტელე, "ღმერთიც კი ვერ შეცვლის წარსულს"<sup>[22]</sup>. შეიძლება ეჭვი შეიტანო კონსტანტინოპოლის პოლიტიკაში, მაგრამ ამავე დროს, არსებობს შეშფოთების მიზეზები მოსკოვის

გადაწყვეტილებაშიც, - გაწყვიტოს ევქარისტიული კავშირი მსოფლიო საპატრიარქოსთან.

ალბანეთის მთავარეპისკოპოს ანასტასიოსის სიტყვებით რომ ვთქვათ, რომლებიც მან განაცხადა სწორედ უკრაინის კრიზისთან დაკავშირებით, - "წარმოუდგენელია, რომ წმინდა ევქარისტია - ქრისტეს უსაზღვრო სიყვარულისა და უდიდესი მორჩილების უზენაესი საიდუმლო იქნას გამოყენებული იარაღად სხვა ეკლესიის წინააღმდეგ... რამდენად სერიოზულიც არ უნდა იყოს დაგროვილი საკითხები იურისდიქციის განსაზღვრისა, სადაც კი არ უნდა ხდებოდეს ეს - ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქცეს სქიზმის მიზეზად, მართლმადიდებლურ სამყაროში"<sup>[23]</sup>.

სამწუხაროა! აღსრულდა სწორედ ის, რასაც მთავარეპისკოპოსმა ანასტასიოსმა "წარმოუდგენელი" რამ უწოდა.

მამები ამბობდნენ, რომ სქიზმის ინიცირება მკვლელობის ჩადენაზე უარესია. სქიზმის პროვოცირება ადვილია, მაგრამ რთულია მისი მოშუშება. სამოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში, 1870-დან 1945 წლამდე, ევქარისტიული კავშირი გაწყვეტილი იყო მსოფლიო საპატრიარქოსა და ბულგარეთის ეკლესიას შორის; და ამის მიზეზი სწორედ ავტოკეფალიის საკითხი იყო. მოდით, ვილოცოთ, რომ ამჟამინდელი განხეთქილება მეორე და მესამე რომს შორის ასევე საუკუნის სამი მეოთხედი არ გაგრძელდეს.

მართლმადიდებელი ეკლესიის უუნარობა, რომ მთელ მსოფლიოში მიაღწიოს შეთანხმებას ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხში, ახლა კი უკრაინის საკითხშიც, - ზოგიერთ დენომინაციაში, ძირითადად, რომაელ კათოლიკებში - ჰბადებს მოსაზრებას, რომ მართლმადიდებლობა საჭიროებს იერარქიული უპირატესობის განმტკიცებას მსოფლიო დონეზე.

პირადად ჩემში ეს წინადადება არ იწვევს ენთუზიაზმს. თუკი გვსურს წინ წავიწიოთ პირველობისა და უპირატესობის ჩვენეულ გაგებაში, - ის არ უნდა იყოს ნაკარნახევი უარყოფითი მიზეზებით, როგორცაა ცალკეულ პრობლემათა მოგვარება, - არამედ უნდა იყოს შთაგონებული ეკლესიის რეალობის დადებითი ხედვით. მოდიდეთ, წინ გავუსწროთ მოვლენებს, - მათზე კი არ ვრეაგირებდეთ.

ვიდრე დავასრულებდეთ პირველობის საკითხზე მსჯელობას, მოდიოთ, ყურადღება გავამახვილოთ ერთ განსაკუთრებით მნიშვნელოვან თემაზე, რომელსაც აქვს კავშირი არა მარტო პირველიერარქის უფლებამოსილებასთან, არამედ ასევე საეკლესიო მსახურების ყველა დონესთან. როდესაც მოციქულები დავობდნენ, თუ ვინ დაიკავებდა პირველ ადგილს, იესომ უსაყვედურა მათ: "ხოლო იესუ მოუწოდა მათ და ჰრქუა: უწყითა, რამეთუ მთავარნი წარმართთანი უფლებენ მათ ზედა, და დიდ-დიდნი კელმწიფებენ მათ ზედა? ხოლო თქუნ შორის არა ეგრეთ იყოს, არამედ რომელსა უნებს თქუნ შორის დიდ ყოფად, იყავნ თქუნდა მსახურ;" (მათე 20, 25-26). ქრისტე აბსოლუტურად ცალსახად ამბობს: "ხოლო თქუნ შორის არა ეგრეთ იყოს."

უპირატესობა ეკლესიაში პრინციპულად განსხვავებული უნდა იყოს, საერო ორგანიზაციებთან შედარებით. როგორც მეუფეები არა ამასოფლისა - ევქარისტული, სულიერი, ესქატოლოგიური - ეკლესია უნიკალურია. ის არასდროს არ უნდა მოერგოს ჩვენ გარშემო არსებულ დაცემულ სამყაროში გაბატონებული ძალაუფლებისა და მმართველობის პრინციპებს. ეპისკოპოსი - ფეოდალური ბატონი კი არ არის და არც პარლამენტის წარმომადგენელია. პირველიერარქი ან წინამძღოლი არც დიქტატორია, არც კონსტიტუციური

მონარქი და არც დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე.

როდესაც ქრისტე ამბობს, თუ როგორი არ არის საეკლესიო ძალაუფლება, ამით იესო აცხადებს, რომ იგი არსებობს. "ხოლო თქვენ შორის არა ეგრეთ იყოს, არამედ რომელსა უნებს თქვენ შორის დიდ ყოფად, იყავნ თქვენდა მსახურ; და რომელსა უნებს თქვენ შორის წინა ყოფად, იყოს იგი თქვენდა მონა. ვითარცა მე კაცისად არა მოვიდა, რადთამცა იმსახურა, არამედ მსახურებად და მიცემად სული თვისი საჯსრად მრავალთათვის." (მათე 20: 26-28). ეს არის უპირატესობის ჭეშმარიტი საზრისი. პირველი იქნება უკანასკნელი. ძალაუფლება, ამბობს ქრისტე, არის მსახურება: *ექსუსია ნიშნავს დიაკონიას*. პერსპექტივა უნდა ამოვატრიალოთ, პირამიდა უნდა იდგეს თავისავე მწვერვალზე. პაპის სახელწოდებებს შორის არის ერთი, რომელიც ყველაზე უკეთაა გასაგები მართლმადიდებლებისთვის - *servus servorum Dei*, "ღვთის მსახურთა მსახური".

ეს სახელწოდება შეიძლება გამოყენებულ იქნას ეკლესიაში ნებისმიერ პირველობასთან მიმართებაში. და თუკი წინამძღოლის მოწოდება ის არის, რომ ემსახუროს სხვებს, - მაშინ მისი მსახურება მსხვერპლად შეწირვას და მოწამეობასაც კი გულისხმობს, - გარეგნულს ან შინაგანს; ის შეიძლება მოწოდებული იყო "გაიღოს თავისი სიცოცხლე" ქრისტეს მსგავსად. უპირველეს ყოვლისა, წინამძღოლი აღასრულებს მსახურებას სიყვარულის სულისკვეთებით. როგორც მართებულად აღნიშნეს მამა იოანე ბერმა და არქიდიაკონმა ხრისავგისმა, "პირველობა მეთაურობს კენოზისურ (κένωσις) სიყვარულში"<sup>[24]</sup>.

## მოღვაწე მონაზონი და დაუმთავრებელი კოშკი

ერმის "მწყემსში" მდიდარ სიმბოლურ სახეებს შორის არსებობს ორი, რომლებიც ნათლად გამოხატავს ეკლესიის ორ განსხვავებულ კონტრასტულ სახეს. უპირველეს ყოვლისა, ერმა ხედავს ეკლესიას მხცოვანი მოღვაწე მონაზონის სახით. "რატომ არის ის მოხუცი?" - სვამს ის კითხვას და იღებს პასუხს: "ვინაიდან ის შექმნილია უპირველეს ყოვლისა და მისითვისაა შექმნილი სამყარო". ამის შემდეგ ერმამ იხილა დიდი კოშკი, რომელიც მუდმივად შენდება ახალი ქვებისგან<sup>[25]</sup>.

ასეთია ეკლესიის საიდუმლოებისა და სასწაულის პარადოქსული ხასიათი. მამა ალექსანდრე შმემანის სიტყვებით რომ ვთქვათ: "ეკლესია, რომელიც თავისი ბუნებით ეკუთვნის ახალ ეონს - მომავალი საუკუნის მეუფებას, ისტორიაში დროსა და „ამასოფლის“ სივრცეში იმყოფება. ის არის in statu patriae-ში, მაგრამ ასევე in statu viae-შიც<sup>[26]</sup>. ის არის სისავსეც და მისიაც"<sup>[27]</sup>.

**ეკლესია მხცოვანია, მაგრამ ის ახალგაზრდაა, ის უცვლელია, მაგრამ მუდამ ახალია.**

ეს არის სისრულე და სრულყოფილება, მარადიული, დაუსაბამო და თავდაპირველი, მაგრამ ამავე დროს, ის იმყოფება მოძრაობაში, რადგან ჩართულია ისტორიის უწყვეტ ნაკადში და განუყოფელად გადაჯაჭვულია ადაპტაციის, განახლებისა და ზრდის პროცესებთან. ის ზესამყაროსმიერია და ფაქიზია. ხაზგასმით ამ ორივე სახისა - მხცოვანი მოღვაწე მონაზონისა და დაუმთავრებელი კოშკის, - და ასევე პლატონის<sup>[28]</sup> ციტირებით, - მამა გიორგი ფლოროვსკი აღწერს ეკლესიას, როგორც "დროის განზომილების

შიგნით არსებულ მარადიულობის ცოცხალ სახეს"<sup>[29]</sup>: ის არის "მარადიულობის სახე", მაგრამ ამავდროულად ის არის "ცოცხალი სახე", "დროის განზომილებაში არსებული ხატება".

თუკი ჩვენ, კრებითობასა და პირველობაზე მსჯელობისას არ გამოგვრჩება მხედველობიდან ეკლესიის ეს ორი სახე, - მაშინ სწორ გზას არ ავცდებით.

### ***შენიშვნები:***

<sup>[1]</sup> პლატონი. Теэтет. 155d.

<sup>[2]</sup> იხ. Paul McPartlan, The Eucharist Makes the Church (2nd ed., Fairfax, VA: Eastern Christian Publications, 2006).

<sup>[3]</sup> Aristotle Papanikolaou, 'Primacy in the Thought of John [Zizioulas], metropolitan of Pergamon'. B: John Chryssavgis (ed.), Primacy in the Church: the Office of Primate and the Authority of Councils, vol. 1. Historical and Theological Perspectives (Yonkers, NY: St Vladimir's Seminary Press, 2016), p. 267.

<sup>[4]</sup> სიტყვა discernment (ბერძნ.) აქ გამოყენებულია თანმიმდევრულ დასკვნათა თანამედროვე გაგებით კი არა, არამედ იმ მნიშვნელობით, რომლითაც ის გამოიყენება ხოლმე მართლმადიდებლურ ასკეტურ ტრადიციაში: „ღვთის განსაკუთრებული ნიჭია, მიცემული ღვთის მცნებების

აღმსულებლისთვის, ჩაწვდეს, თუ როგორ იქნება უკეთ და სულისთვის სასარგებლოდ რომ ადასრულოს სათნო საქმე, რომელიც თანხმობაში იქნება ღვტის ნებასთან“ (მთავარეპ. ნიკონი (როჟდენსტვენსკი)- ავტორის შენიშვნა).

<sup>[5]</sup> ანრი ვოლოხოვსკის თარგმანი - მთარგმნელის შენიშვნა.

<sup>[6]</sup> Paul Valliere, 'The Ethical Reality of Councils'. B: Chryssavgis, Primacy in the Church, vol. 1, p. 159.

<sup>[7]</sup> ეთნოფილეთიზმი — ეროვნული ინტერესების ზოგადსაეკლესიო ინტერესებზე მაღლა დაყენება. предпочтение национальных интересов общецерковным. - მთარგმნელის შენიშვნა.

<sup>[8]</sup> „საკასუხო ეპისტოლე უწმინდესი მმართველი სინოდისა მსოფლიო საპატრიარქოსადმი“ დაიბეჭდა ჟურნალში «Церковные ведомости» (№ 24, 1903 г.), стр. 250-257. - მთარგმნელის შენიშვნა.

<sup>[9]</sup> იოაკიმე III-ს 1902 წლის ეპისტოლეს შესახებ. იხ. Constantin G. Patelos (ed.), The Orthodox Church in the Ecumenical Movement: Documents and Statements 1902-1975 (Geneva: World Council of Churches, 1978), pp. 27-33; о русском ответе см. Athelstan Riley (ed.), Birbeck and the Russian Church (London/New York: SPCK/Macmillan, 1917), pp. 247-57, особенно p. 248.

<sup>[10]</sup> იხ. Kallistos Ware, 'The rebaptism of Heretics in the Orthodox Canonical Tradition', in Andrew P. Roach and James R. Simpson (ed.), Heresy

and the Making of European Culture: Medieval and Modern Perspectives (Ashgate: Fernham, 2013), pp. 31-50.

<sup>[11]</sup> «ნათელს იღებს, ... თუკი არ არის ნათელღებული». - მთარგმნელის შენიშვნა.

<sup>[12]</sup> იხ. 'A Constitution of the Holy Church of Christ [A.D. 1756] defending the Holy Baptism given from God, and spitting upon the Baptism of the heretics which are otherwise administered', in William Paimer, *Dissertations on Subjects Relating to the «Orthodox» or «Eastern-Catholic» Communion* (London: Joseph Masters, 1853), pp. 199-202. ამ დადგენილების სწორი თარიღია — 1755 წ.

<sup>[13]</sup> პირველად სტატია დაიბეჭდა *Church Quarterly Review*, vol. 117, no. 233, pp.177-31; შემდეგ დაიბეჭდა სახელწოდებით: 'The Boundaries of the Church', в Richard S. Haugh (ed.), *The Collected Works of Georges Florovsky*, vol. 13. *Ecumenism I, A Doctrinal Approach* (Vaduz: Buchervertriebsanstalt, 1989), pp. 36-45. Xო შეაერთა დედანი გამოცემიდან *Church Quarterly Review* რუსული ენიდან ნათარგმნი ფლოროვსკის დამატებითი მასალებთან.

<sup>[14]</sup> B: John Chryssavgis (ed.), *Primacy in the Church. The Office of Primate and the Authority of Councils*, vol. 2. *Contemporary and Contextual Perspectives* (Yonkers, NY: St. Vladimir's Seminary Press, 2016), p. 447.

<sup>[15]</sup> 'Primacy, Ecclesiology, and Nationalism'. B: Chryssavgis, *Primacy in the Church*, vol. 1, p. 301.

<sup>[16]</sup> მოციქულთა 34-ე კანონი სრულადაა მოხმობილი რავენას განცხადებაში, რომელიც მიიღეს რომაულ კათოლიკური ეკლესიისა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის საღვთისმეტყველო დიალოგის ერთობლივ საერთაშორისო კომისიის X სესიაზე (2007 წ. 8-14 ოქტომბერი): იხ. §24, Chryssavgis, Primacy in the Church, vol. 1, p. 314.

<sup>[17]</sup> 'The Ecumenical Patriarchate in the Twentieth Century'. B: Chryssavgis, Primacy in the Church, vol. 1, p. 403.

<sup>[18]</sup> ორივე ტექსტი ციტირებულია წიგნში - Alexander Rentel, „The Canonical Tradition: Universal Primacy in the Orthodox Church“. Chryssavgis, Primacy in the Church, vol. 2, pp. 573 and 583. პაპის როლზე, როგორც „ხილულ ნიშანსა და ერთობის გარანტზე“ იხ.: Bishop Dimitrios [Salachas] of Gratianopolis, 'The Ministry of the Bishop of Rome: From Doctrine to Modes of Exercise', in Chryssavgis, Primacy in the Church, vol. 2, pp. 587-610, განსაკუთრებით - pp. 588, 590-2. ის, რაც იქ ნათქვამია პაპზე, შეიძლება გამოყენებულ იყოს mutatis mutandis მსოფლიო პატრიარქთან მიმართებაშიც.

<sup>[19]</sup> „The idea of Primacy in Orthodox Ecclesiology“, in Chryssavgis, Primacy in the Church, vol. 1, p. 340.

<sup>[20]</sup> „Reflecting on the Future“, Primacy in the Church, vol. 2, p. 454.

<sup>[21]</sup> სიტყვასიტყვით: schismatic groups. - *მთარგმნელის შენიშვნა.*

<sup>[22]</sup> არისტოტელე. „ნოკომახის ეთიკა“, წიგნი 6 (1139 b 10-11), პოეტ აგაფონის ციტატა.

<sup>[23]</sup> ალბანეთის მთავაერპისკოპოსის ანასტასიოსის წერილი მოსკოვის პატრიარქ კირილეს, 2018 წ. 7 ნოემბრით დათარიღებული.

<sup>[24]</sup> Contemporary Ecclesiology and Kenotic Leadership: The Orthodox Church and the Great Council', Primacy in the Church, vol. 2, p. 914.

<sup>[25]</sup> ხედვა II, IV, 1; III, II, 4-9.

<sup>[26]</sup> ლათინ. «სახლშიც და მოგზაურობაშიც». - მთარგმნელის შენიშვნა.

<sup>[27]</sup> „The Idea of Primacy in Orthodox Ecclesiology“, in Chryssavgis, Primacy in the Church, vol. 1, p. 354.

<sup>[28]</sup> პლატონი. ტიმეი. 37d.

<sup>[29]</sup> „Sobornost: the Catholicity of the Church“. B: E. L. Mascall (ed.), *The Church of God* (London: SPCK, 1935), p. 63; reprinted in Richard S. Haugh (ed.), *The Collected Works of Georges Florovsky*, vol. 1, *Bible, Church, Tradition: An Eastern Orthodox View* (Belmont, MA: Nordland, 1972), p. 45.